ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
პროფესიული განვითარების კურსის სილაბუსი

კურსის დასახელება	**აქტიური სწავლა და სწავლება საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით: სწავლა მობილურით და თამაშით (Active Learning and ICT-enhanced teaching: M-learning and Gamification)**
კურსის მიზანი	კურსის მიზანია ტრენინგის მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების შესწავლასა და გამოყენებაში ხელის შეწყობა. ტრენინგზე მიღებული ცოდნა და გამომუშავებული უნარ-ჩვევები ლექტორებს დაეხმარება გადაახალისონ სწავლება-სწავლის მეთოდები, გახადონ ლექციები ინტერაქტიური და მოარგონ ისინი სტუდენტთა მოთხოვნებს, რაც თავის მხრივ გაზრდის სტუდენტთა ჩართულობის, ცოდნისა და შედეგების დონეს.
კურსის სწავლის შედეგები	კურსის გავლის შემდეგ ტრენინგის მონაწილეები შეძლებენ: • აქტიური სწავლის ტექნოლოგების და ინსტრუმენტების გამოყენებას (აპლიკაციები, ვებ-გვერდები და სხვ.); • ინფოგრაფიკის გამოყენებას სასწავლო მასალის ვიზუალურად წარმოდგენისათვის; • თამაშის ელემენტების გამოყენებას სწავლა-სწავლების ეფექტიანობის გაზრდისათვის; • წახალისებისა და დაჯილდოვებისთვის სიმბოლოების შექმნას და გამოყენებას სტუდენთა მოტივირებისა და გაწეული შრომის აღიარებისთვის; • QR კოდის შექმნას და გამოყენებას სწავლების ეფექტიანობისათვის; • თამაშის ელემენტების გამოყენებას სწავლებაში („გემიფიკაცია“); • მოკლე ვიდეო რგოლების გადაღებას და ჩართვას აქტიური სწავლის სისტემაში.

კურსის აღწერა	კურსის შინაარსი: • რა არის აქტიური სწავლება; • აქტიური სწავლების მეთოდოლოგია; • ტექნოლოგიები თანამედროვე სწავლა-სწავლებაში; • ინფოგრაფიკის ეფექტურად შექმნა და გამოყენება; • „გემიფიკაცია“ და თამაშის ელემენტების გამოყენება სწავლებაში; • სტუდენტთა ჩართულობის და მონაწილოების დონის გაზრდა სხვადასხვა ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენების საშუალებით; • მობილური ტელეფონის გამოყენება სწავლების სისტემაში; მონაწილეები ტრენინგის მსვლელობისას გამოიმუშავებენ აქტიური სწავლების დასანერგად საჭირო უნარ-ჩვევებს კონკრეტულ ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებთან მუშაობის გზით.
კურსის ტრენერი	ნანა დიხამინჯია კომპიუტერული და ელექტრული ინჟინერიის პროფესორი ელ. ფოსტა: nana.dikhaminjia@iliauni.edu.ge მობ: 599104691
დატვირთვა (საათების რაოდენობის მიხედვით)	სრული ტრენინგის ხანგრძლივობაა 10 საათი.
კურსის ხანგრძლივობა	ტრენინგი ჩატარდება 5 დღის განმავლობაში, დღეში 2 საათი.
მიზნობრივი აუდიტორია	უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი - აფილირებული პროფესორები და მოწვეული ლექტორები.
მონაწილეთა რაოდენობა (მინ. და მაქს.)	ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა - 10-15 ადამიანი
შეფასება	• ტრენინგის მსვლელობისას მონაწილეების მიერ გაკეთებულ დავალებებზე უკუკავშირის მიცემა ტრენერის მიერ; • მონაწილეთა მიერ ერთმანეთისათვის უკუკავშირის მიცემა.
ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი	• ტრენინგამდე და ტრენინგის შემდეგ გამოკითხვა სპეციალურად მომზადებული კითხვარის საშუალებით; • ტრენინგის მიმდინარე რეჟიმში დამყარებული უკუკავშირი მონაწილეებისგან.
ტრენერის დატვირთვა საათებში	ტრენერის დატვირთვა - 10 საათი.
სასწავლო რესურსები	მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ ლეპტოპი და/ან სმარტფონი; სასწავლო მასალები მიეწოდებათ ტრენერის მიერ; გამოყენებული იქნება სხვადასხვა ტიპის უფასო აპლიკაციები;

კურსის დღის წესრიგი	**დღე 1 – 2 საათი** შესავალი • ტრენერის და ტრენინგის მონაწილეების გაცნობა; • ტრენინგის მიზნების გაცნობა მონაწილეთათვის; • მოკლე გამოკითხვის გაკეთება რამდენად იყენებენ ტრენინგის მონაწილეები სწავლებაში ტექნოლოგიებს; • განათლებაში ტექნოლოგიების გამოყენების უპირატესობები; • აქტიური სწავლების მეთოდების გაცნობა. **დღე 2 – 2 საათი** ინტერაქტიური ინსტრუმენტების გამოყენება: • Sli.do • Poll everywhere • Mentimeter დავალება მონაწილეებისათვის - ზემოთ ჩამოთვლილი ინსტრუმენტების გამოყენებით მოკლე კითხვარის მომზადება. • ინფოგრაფიკა დავალება მონაწილეებისათვის - გამოიყენონ ინფოგრაფიკა აქტიური სწავლების ან სხვა თემის წარმოსადგენად. **დღე 3 – 2 საათი** • რა არის თამაშით სწავლება; • თამაშით სწავლების ინსტრუმენტები; • თამაშით სწავლების მაგალითები; **დღე 4 – 2 საათი** • გემიფიკაციის სხვადასხვა აპლიკაციების გაცნობა; • QR კოდების გამოყენება სწავლებაში, მისი მნიშვნელობა და მომზადება. **დღე 5 – 2 საათი** • მობილური ტელეფონის და აპლიკაციების გამოყენება სწავლება-სწავლაში (M-Learning); დავალება - მოკლე ვიდეოს შექმნა მობილური ტელეფონის გამოყენებით.

	• მონაწილეთა მიერ პრეზენტაციების ჩატარება; • კურსის შეფასება.